პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! შაბათი, 5 დეკემბერი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

277 (975) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ტელეფონი 2—24 განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სხ. 4 გვ. 40 კ.

## წვევამდელო, მჭიდროთ დაუკავშირდი გაზ. „წითელ არმიელს"

წვევამდე მომზადება უკვე დაიწყო. 1904 წელში დაბადებული ახალგაზრდობა შეუდგა სამხედრო და პოლიტიკურ მეცადინეობას. მაგრამ დღემდის რედაქციას არც ერთი კორესპონდენცია არ მოსვლია არც ერთ წერტილდან იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს წვევამდე მომზადება, როგორ მეცადინეობენ წვევამდელები, როგორ არის მოწყობილი სასწავლო წერტები, რა ნაკლია, რა მიღწევებია და სხვა. ამავე დროს კი ყველა ეს საკითხები ვრცლად და შინაარსიანად უნდა შუქდებოდეს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

ეს მეტის მეტად საჭიროა, რადგანაც მაშინ ნათელი წარმოდგენა გვექნება, თუ როგორი წარმატებით მიმდინარეობს წვევამდე მომზადება მთელ საქართველოში. ეს კი საშუალებას მოგვცემს დროზე გამოვასწოროთ ყველა ნაკლი და გამოვიყენოთ ერთმანეთის გამოცდილებები და მიღწევები.

ამ მიზნით საჭიროა ახალგაზრდა წვევამდელი აქედანვე დაუკავშირდეს ჩვენს გაზეთს: სისტემატიურად იკითხოს ის, სწეროს და მუდმივად ითანამშრომლოს მასში.

წვევამდელებმა დაუყონებლივ უნდა მოგვაწოდონ წერილები თავის მეცადინეობისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ წერტებზე.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ წვევამდე მომზადება არც ისე დიდხანს გასტანს. სულ თვე ნახევარი. ამ მცირე დროში ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. ამიტომაც საჭიროა ყოველივე ნაკლი და მიღწევა თავის დროზე იქნას აღნიშნული.

წვევამდელმა მჭიდრო კავშირი უნდა იქონიოს არა მარტო წვევამდე მომზადების დროს, არამედ ასეთის დამთავრების შემდეგაც. მან ერთ წუთს არ უნდა გასწყვიტოს ეს კავშირი, ვინაიდან „წითელ-არმიელი" დიდ სამსახურს გაუწევს მას წითელი ჯარის გაცნობის საქმეში და აგრეთვე იმ სამხედრო—პოლიტიკურ ცოდნის განმტკიცებაში, რომელიც წვევამდელმა შეიძინა წვევამდე მომზადების დროს.

ამრიგად წვევამდელი აქედანვე უნდა გახდეს ჩვენი გაზეთის აქტიური თანამშრომელი და მკითხველი. ის მოვალეა მუდამ აწვდიდეს თავის გაზეთ „წითელ-არმიელს" კორესპონდენციებს იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს წერტებზე სამხედრო—პოლიტიკური მეცადინეობა და სხვა. აგრეთვე წვევამდე მომზადების შემდეგ ის უნდა სწერდეს მასზე, თუ რას აკეთებს ის თავის სამხედრო ცოდნის გაფართოების მხრივ, როგორ მიმდინარეობს იმ სოფელში, სადაც თვით სახლობს, გასამხედროების საქმე და სხვა.

წვევამდელო! დაუახლოვდი შენ გაზეთს. დაიჭირე მასთან მჭიდრო კავშირი. სისტემატიურად მიაწოდე მას კორესპონდენციები. ხელი შეუწყვე მის სოფლად გავრცელებას.

## მოძრაობა იმპერიალიზმის ბატონობის წინააღმდეგ ძლიერდება.

ცუდად წაუვიდა საქმე საფრანგეთს სირიაში. დრუზების აჯანყებას მოყვა მთელი სირიის ამოსვლა საფრანგეთის იმპერიალიზმის ბატონობის წინააღმდეგ.

როგორც ერთი აღსდგა დაჩაგრული ერი უცხოელი ჩაგვრის კლანჭებიდან განთავისუფლებლად. მაგრამ საფრანგეთი სრულიადაც არ ფიქრობს სირიიდან გასვლას და მის ბატონობაზე ხელის აღებას.

ცეცხლით და მახვილით დაპირობს მან დაამარცხოს აჯანყება და კვლავ განმტკიცდეს სირიაში.

რადიოს მოაქვს მეტად გულისმზარავი ცნობები საფრანგეთის ჯარების და სარდლობის მხეცობაზე, რომელსაც სჩადიან აჯანყებულების მიმართ. ფრანგები არ ზოგავენ არავის, ვისაც შეამჩნევენ თანაგრძნობას ეროვნულ—განმანთავისუფლებელ მოძრაობისადმი. იმპერიალიზმის გამხეცებული მსახურები სწვავენ არაბების სოფლებს, ასობით და ათასობით ჟლეტენ უდანაშაულო მოსახლეობას.

ქალაქები, რომელიც მათ ჩაუვარდება ხელში, ხდება ჯერ საშინელი წამების და შემდეგ სახრჩობელას მსხვერპლი.

აი ასეთი საზიზღარი, ჯალათური საშუალებებით სცდილობენ ფრანგები ჩააქრონ აჯანყება და კვლავ დაიმონავონ ურჩი სირიელები. მაგრამ საფრანგეთის მხეცობა სრულიად სხვა შედეგებს იღებს.

თითეული მათი ვერაგობა უფრო აძლიერებს აჯანყებულების სიძულვილს და ბრძოლის წყურვილს. თუ პირველად

აჯანყებულთა რიცხვი დრუზების ტომით განისაზღვრებოდა, დღეს აჯანყების რკალში მოქცეულია მთელი სირია. მთელი ამ იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრული ქვეყნის ხალხი აღსდგა როგორც ერთი. სირიელები იბრძვიან თავგამოდებით, უშიშრად და მამაცად. მათ მტკიცედ გადაწყვიტეს გაინთავისუფლონ თავი იმპერიალიზმის მონობისაგან.

ამას წინად პალესტინა—სირიის ეროვნულ კომიტეტმა წინადადებით მიმართა საფრანგეთს დასტოვოს სირიის ტერიტორია და გაიყვანოს თავისი ჯარები. საფრანგეთის მთავრობამ რასაკვირველია სასტიკი უარით და ქვემეხების, ტყვიამფრქვევების გრიალით უპასუხა.

მით უარესი მისთვის.

დღევანდელი რადიო გადმოგვცემს, რომ სირიელები ერთი მეორეზე ამარცხებენ საფრანგეთის ჯარებს. მათ ალყა შემოარტყეს თვით დამასკსაც. ფრანგები ნებით არ სტოვებენ მათ მიერ ძალით მითვისებულ სირიას. სულერთია აჯანყებული ერი ძალით აიძულებს მას გავიდეს ამ ქვეყნიდან.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებამ სირიაში ფართო გამოძახილი ჰპოვა სხვა დაჩაგრულ აღმოსავლეთის ქვეყნებში. როგორც დღევანდელი რადიო გვატყობინებს აჯანყების წინაშე სდგას აგრეთვე სირიის მოსაზღვრე ქვეყანა პალესტინაც, რომელიც ინგლისის ხელქვეით იმყოფება. სირიელთა გამარჯვებებმა წაახალისეს პალესტინის არაბებიც.

ადვილი შესაძლებელია ჩვენ გავხდეთ მოწამე ახალი აჯანყებისა პალესტინაში ინგლისელ მოძალადეების წინააღმდეგ.

ინგლისის მთავრობა დიდ სამხედრო სამზადისშია. ის ყოველგვარ ზომებს ხმარობს თავიდან აიცილოს აჯანყება. მაგრამ ტყუილი ცდებია. ადრე თუ გვიან ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ცეცხლი მის კოლონიებსაც მოედება.

ამის ნიშნები უკვე არის.

—ე.

# ახალი რადიო-ამბები

## ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა სირიაში

### იზრდება მღელვარება სირიის გარშემო

### აჯანყებული დრუზები წინ მიიწევენ

### ქ. დამასკი სამი მხრით ალყა-შემორტყმულია აჯანყებულებით.

— სამხრეთ სირიაში დრუზებმა დაიკავეს რამოდენიმე ქალაქი. ჩრდილოეთ პალესტინაში იწყება, მღელვარება არაბები იარაღდებიან. პალესტინის სანაპიროზე ინგლისელები თავს უყრიან შეიარაღებულ ძალებს.

— გადადგა ტრანს-იორდანიის პრემიერ-მინისტრი რიკაბი-ფაშა, რომელიც ინგლისის მარჯვენა ხელს წარმოადგენდა ტრანს-იორდანიის ემირის წინააღმდეგ. მინისტრის გადადგომა დათმობაა ინგლისელების მხრივ ემირის მიმართ.

— სირიის გარშემო ქვეყნებში ძლიერდება მღელვარება ფრანგების წინაალმდეგ. ფრანგები ანადგურებენ აჯანყებულ სოფლებს: ხვრეტენ უიარაღო არაბებს აჯანყებულთადმი თანაგრძნობისთვისაც კი.

— ამ ჟამად ბრძოლა სწარმოებს შიგა სირიაში. აჯანყებულებმა ელ ატრაშის მეთაურობით მიაღწიეს ლივანის საზღვარს. ფრანგები გაიქცენ საზღვრიდან. აჯანყებულები აძლიერებენ შეტევას ყოველ მიმართულებით და სცდილობენ ხელში ჩაიგდონ სირიის ჩრდილო აღმოსავლეთი.

— აჯანყებულები სცდილობენ გარშემოერტყან დამასკს და ხელში ჩაიგდონ ქალაქი.

## დარბეულ დამასკში

### სირიის სანაპიროებს მიადგა იტალიის ესკადრა.

**ზაგლულ-ფაშის მოწოდებას თანაგრძნობით შეხვდენ.**

დამასკში ფრანგების მიერ ბომბების დაშენასთან დაკავშირებით მეტად გაიზარდა ფასები სურსათ-სანოვაგეზე.

გლეხობა საომარი მოქმედების გამო ვერ აწარმოებს მიწის დამუშავებას, რაც შიმშილს უქადის მთელ ქვეყანას.

სირიის სანაპიროებს მიადგა იტალიის ესკადრა ვითომდა იტალიის მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად.

ზაგლულ-ფაშამ გამოუშვა მოწოდება სირიის აჯანყებულთა სასარგებლოდ. მოწოდებას დიდის თანაგრძნობით შეეგება მცხოვრებლები.

## მოსულის საკითხი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.

ინგლისის ერთ-ერთი ლიბერალური გაზეთი მოწინავე წერილში აცხადებს, რომ, თუ რომ ერთალიგა გამოიტანს მოსულის საკითხში ოსმალების საზარალო გადაწყვეტილებას, უკანასკნელნი შეიჭრებიან მოსულის ოლქში და ამრიგად ომს გამოუცხადებენ ინგლისს.

აშკარა, სწერს გაზეთი, რომ საკითხი მოსულის შესახებ მეტად მნიშვნელოვანია და მოითხოვს ინგლისის მთავრობისაგან დროზე გადაჭრას".

## საბჭოთა კავშირში.

### საბჭოების პირველი ყრილობა ციმბირში.



ამხ. ენუქიძე.

2 დეკემბერს გაიხსნა საბჭოების პირველი ყრილობა ციმბირში.

ყრილობაზე მისულ საკავშირო ცაკის მდივანმა ენუქიძემ გამოაქვეყნა სრულიად რუსეთის ცაკისა და საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილება ციმბირის მოსახლეობის მიმართ შეღავათების შესახებ.

## ჩვენი მრეწველობა ძლიერდება.

ეკატერინოსლავის საოლქო პარტკონფერენციაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ეკატერინოსლავის მრეწველობის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა მრეწველობის საგრძნობი გაძლიერება.

იუგოსტალმა დაადგინაააგოს ეკატერინოსლავში ორი მანქანათ—მშენებელი ქარხანა.

## განცხადება

გაზ. „წითელ არმიელის" რედაქცია ამით აცხადებს ქ. თბილისში მდგომ ნაწილების ყველა სამხედროთა და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიის წევრთა საყურადღებოდ, რომ ა. წ. 5 დეკემბერს, ნაშუადღევის სრულ 4 საათზე დივიზიის ცენტრალურ კლუბში მოწვეულია

### თათბირი,

რომლის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. სამხედროთა მუშაობის ამოცანები.
2. მიმდინარე კითხვები.

ნაწილების სამხედროთა და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

გაზ. „წითელ არმ." რედაქცია.

# საქართველოს კომპარტიის მეოთხე ყრილობა.

(გაგრძელება)

ვასრულებ რა მოხსენებას, უნდა ვსთქვა: საბჭოთა რევოლიუციის 5 წლის თავზე საქართველოში ჩვენ გვაქვს შემდეგი მიღწევები: 50 მილიონიანი ბიუჯეტი, განვითარებისა და აღორძინების გზაზე დამდგარი მრეწველობა და სასოფლო-მეურნეობა, ქვეყნის ელექტროფიკაცია. ამას გარდა ჩვენ გვყავს 25 ათასი პარტწევრი, 50 ათასი კომკავშირელი, 50 ათასი პიონერი, 130 ათასი პროფკავშირელი და 150 ათასამდე გლეხი, რომლებიც საბჭოებში და სხვა და სხვა სახის საზოგადო ორგანიზაციებში მუშაობენ. ეს 400 ათასიანი არმია, რომელიც შეიქმნა 5 წლის განმავლობაში, ახალი საბჭოთა ქვეყნის აქტიური მოღვაწე, კომუნისტური იდეების მატარებელი და ახალი სოციალისტური წესწყობილებისათვის საუკეთესო მებრძოლია. (ხანგრძლივი ტაში).

იმავე სხდომაზე ამხ. კახიანის მოხსენების დასრულების შემდეგ მოხსენებას აკეთებს ამხ. მალ. ვაშაკიძე, სარევიზიო კომისიის ანგარიშებზე.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სარევიზიო კომისიის მუშაობა საანგარიშო წლის განმავლობაში მიდიოდა ორი უმთავრესი გზით; პირველი:—სარევიზიო კომისია თვალყურს ადევნებდა პარტიული აპარატის ნორმალურ მუშაობას, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე და მეორე—სარევიზიო კომისია თვალყურს ადევნებდა პარტორგანოების ფინანსიურ საქმიანობას, ფულის შემოსავალ-გასავლის სისწორით წარმოებას და სხ.

რაც შეეხება ცეკას საერთო მუშაობას და ცალკე განყოფილებების საქმიანობას, უნდა აღინიშნოს, რომ არ აღმოგვიჩენია შემთხვევა, რომ ესა თუ ის დადგენილება ერთი მეორეს ეწინააღმდეგებოდეს ან ადგილი ჰქონდეს ფუნქციების შერევას. ცეკას აპარატი დარსეულად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას და მჭიდრო კავშირი ჰქონდა გაბმული ჩვენს საბჭოთა, პროფესიონალურ, კოოპერატიულ, კულტურულ და სხ. დაწესებულებებთან.

მომხსენებლის აზრით მომავალში საჭიროა სათანადო ყურადღება მიექცეს პარტიის წევრთა პირად შემადგენლობის შესწავლას და გამორკვევას, რომ ნათლად გვქონდეს წარმოდგენილი, ვისი რა სამუშაოზე გამოყენება შეიძლება. ამას კი აქნობამდე არ ექცეოდა სათანადო ყურადღება,

სხდომის დასასრულს წინადადება შემოაქვს ამხ. ჟვანიას, რომ მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნოს ყრილობის სახელით აზერბეიჯანისა და სომხეთის მოძმე კომპარტიების ყრილობებს. ყრილობა ტაშის ცემით ეგებება წინადადებას.

ამით იხურება ყრილობის მეორე სხდომა.

**ამხ. კვირიკაძის სიტყვა.**

ამხ. კახიანის მოხსენების გარშემო კამათში გამოდის ამხ. ა. კვირიკაძეც, რომელიც ამბობს, რომ ამხ. კახიანის მოხსენებაში წითელი არმიის შესახებ არაფერი არ არის ნათქვამი. უმთავრესი მუშაობა, რომელიც ცეკამ გაატარა ამ დარგში, ეს არის ტერიტორიალური დივიზიის ორგანიზაცია.

მოსკოვისა და ლენინგრადის პრესაში უდიდესი ყურადღება ექცევა მოსახლეობის გასამხედროებას და ამ გაზეთებში კარგად არის დაყენებული სამხედრო განყოფილებები და ყოველ სამხედრო საქმეს დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ჩვენში კი ეს ასე არ არის. ჩვენს გაზეთებში ამის შესახებ არაფერი არ იწერება თითქმის. ეს დიდი ნაკლია, ჩემის აზრით, რომელსაც ცეკამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს.

გარდა ამისა ამხ. კვირიკაძე აღნიშნავს, რომ ორი მილიონ ცალი ლიტერატურიდან, რომელიც გამოიცა მესამე ყრილობიდან დღემდე, არც ერთი ეგზემპლიარი არ არის სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის.

ჩვენ გვაქვს ყოველდღიური გაზეთი 1921 წლიდან, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი. რაკი გაზეთი საჭიროდ ა ის ცნობილი და მისი დახურვა არ სურთ, მაშასადამე ის უნდა უზრუნველყონ. წარსულ წელში ძლივს შეიტანეს ეს გაზეთი სახელმწიფოს ბიუჯეტში, ამ წელში კი ის დატოვებულია ბიუჯეტის გარეთ.

შემდეგ მე შევეხები ჩვენი პარტიის ცენტრალურ ორგანოს „კომუნისტს“. ჯარში ჩვენ გვყავს პოლიტხელები, რომლებსაც ხელთ უნდა ჰქონდეთ ყოველდღიური მასალა, რომ ამხანაგებს განუმარტონ მიმდინარე საკითხები. ავიღოთ თუნდა მეორე ინტერნაციონალის კონგრესი. ამ საკითხის შესახებ არის მრავალი დეპეშა გაზეთში, მაგრამ წერილს ამის შესახებ აქ ვერ შეხვდებით.

ბოლოს ამხ. კვირიკაძე ეხება სწავლის ფულის საკითხს და სასწავლებლების მდგომარეობას.

კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვას ამბობს ამხ. კახიანი, რის შემდეგ ღებულობენ შემდეგ რეზოლიუციას: მოისმინა რა ამხ. კახიანის მოხსენება საქ. კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის მოღვაწეობის შესახებ, საქართველოს კომპარტიის მეოთხე ყრილობა სცნობს ცეკას პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხაზს სწორად და ჩატარებულ მუშაობას სრულიად დამაკმაყოფილებლად.

(რეზოლიუცია მიღებულ იქნა ერთხმად).

(მესამე სხდომა).

## კამათი ამხ. კახიანის მოხსენების გამო.

სხდომაზე თავმჯდომარეობს ამხ. სუხიშვილი.

ამხ. კახიანის მოხსენების გარშემო ცეკას მუშაობაზე, იწყება კამათი, რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობს ამხანაგების მთელი რიგი; ამხ. შუშანია (აჭარიდან), ამხ. ჟვანია (ზუგდიდი), ამხ. ლადარია (აფხაზეთი), ამხ. მარიამ ორახელაშვილი, ამხ. ა ურუშაძე, ამხ. მამედ ლოლობერიძე (აჭარა), ამხ. თენგ. ჟღენტი, ამხ. ბახტაძე, ამხ. სტურუა, ამხ. ლაკობა (აფხაზეთი) და სხვები. კამათში მონაწილეობას ღებულობს ამხ. ს. ორჯონიკიძეც.

**ამხ. ს. ორჯონიკიძის სიტყვა.**

თავის სიტყვაში ამხ. ორჯონიკიძემ, აღნიშნა, რომ ეროვნული საკითხი ამ ჟამად წარმოადგენს ძლიერ საჭირბოროტო საკითხს. მეფის მთავრობასა და მენშევიკებისაგან ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ არაჯანსაღი ნაციონალური ურთიერთობა.

განსაკუთრებით ეს ითქმის აჭარისტანზე, სადაც მოსახლეობის მხრივ ჭრელი შემადგენლობაა და მუშაობის პირობებიც ძლიერ რთული. ერთის მხრით ეს აიხსნება იმითაც, რომ ჩვენ არ გვქონდა მჭიდრო კავშირი დამყარებული და მტკიცე დაახლოვება აჭარელი მუშებისა გლეხობასთან.

აჭარელი გლეხობისთვის საბჭოთა მთავრობამ ბევრი რამ გააკეთა: ჩვენ დროს აშენებულია სკოლები, გაყვანილია გზები, გაკეთებულია საუცხოვო ხიდები და სხ.

წარსულში აჭარაში იყო 6 სკოლა, ამ ჟამად კი იქ 116 სკოლაა. აჭარელი გლეხები ამას კარგად გრძნობენ და ისინი მუდამ მზად არიან დაიცვან საბჭოთა ხელისუფლება.

ჩვენ აუცილებლად ჩვენი ორგანიზაციები მჭიდროთ უნდა დაუკავშიროთ აჭარელ ხალხს, უნდა მივაქციოთ ყურადღება კომისარიატების მომუშავეთა შერჩევას, რომელ კომისარიატებშიც ამ ჟამად ყოფილი აზნაური და თავადები მთელი თავიანთი ძალ-ღონით ცდილობენ ნაციონალური პოლიტიკის გადახრას.

ამხ. ორჯონიკიძე ეხება აფხაზეთის საკითხსაც ბოლოს ის ამბობს, რომ ქართველმა კომუნისტებმა განსაკუთრებული აზრუნველობა უნდა გამოიჩინონ, რომ აღზარდონ და წამოაყენონ ახალგაზრდა კომუნისტები მცირე ერებიდან, რომლებიც საქ. მოსახლეობენ. ამ ერების ნაციონალისტური ინტელიგენციის წინააღმდეგ ჩვენ შეგვიძლია გვყავდეს მხოლოდ კომუნისტები. მაგრამ არ დავივიწყოთ, რომ სულ მცირე შეცდომასაც ამ კომუნისტების მიმართ ადვილად შეუძლია ისინი გადააგდოს ნაციონალიზმის მორევში.

## საკონტროლო კომისიის მუშაობა.

მეხუთე სხდომა.

**ამხ. ანდრო დოლიძის მოხსენება.**

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის მუშაობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ანდრო დოლიძე, რომელიც თავის მოხსენებაში ამ საკითხს უერთებს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოქმედებასაც საანგარიშო წლის განმავლობაში. მომხსენებელი პირველად შეჩერდა საკონტრ. კომისიისა და მუშგლეხინის მუშაობის დახასიათებაზე და შემდეგ აღნიშნა ის რთული პირობები, რომელშიდაც მას უხდებოდა მუშაობა. მენშევიკური ავანტიურის შემდეგ საკონტრ. კომისიამ თავისი მუშაობის ცენტრი გადიტანა სოფლად. საანგარიშო წლის განმავლობაში ჩამოვლილ იქნა სენაკის, ოზურგეთის, ზუგდიდის, ახალქალაქის, ახალციხის, თელავის და ლეჩხუმის მაზრები. ამ დათვალიერების დროს მოხდა ზემოხსენებულ მაზრების ორგანიზაციების შემოწმება, რომლის შემდეგ ჩვენს პარტიიდან გავრიცხეთ 300 მეტი არა საიმედო, მერყევი და პარტიის გამხრწნელი პირები.

ამხ. დოლიძე შემდეგ ეხება ავტონომიურ რესპუბლიკებს, და ამბობს, რომ საკონტროლო კომისია ყოველთვის სათანადო ზომებს ღებულობდა, რომ მოესპო ამ რესპუბლიკების ორგანიზაციებში არსებული უთანხმოებანი და კინკლაობანი.

**ამხ. შ. ლეჟავას თანამოხსენება.**

ამხ. ლეჟავა ეხება საკონტროლო კომისიის პარტ-კოლეგიის საქმიანობას და ამბობს, რომ ამ საანგარიშო წლის განმავლობაში გარჩეულ იქნა პარტ-წევრის 550 საქმე, რომლის შედეგი ასეთია: პარტიიდან გაირიცხა 240 კაცი, საყვედური გამოეცხადა 164 კაცს, შენიშვნა მიეცა 28-ს, მოიხსნა მუშაობიდან—7 ამხანაგი, გამართლებულ იქნა 68 კაცი და აღდგენილ იქნა პარტწევრის უფლებებში—76 ამხანაგი. რაც შეეხება პარტ-ორგანიზაციების გადათვალიერებას, ესეც ჩატარდა და გადათვალიერებულ იქნა მუშური შემადგენლობის 197 უჯრედი, რომლებშიდაც ითვლება 4.220 წევრი და 1.688 კანდიდატი.

იმავე საკითხზე საღამოს სხდომის დროს გაიმართა კამათი ანდრო დოლიძის მოხსენებისა და ამხ. შამშე ლეჟავას თანამოხსენების გამო. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. გაგნიძემ, ძაძამიამ, ბერიამ, მირიანაშვილმა, ხუნდაძემ, კალანდაძემ და სხვებმა, რომლებიც ეხებოდენ საკონტროლო კომისიის მუშაობის დადებით და უარყოფით მხარეებს.

ამხ. დოლიძისა და შ. ლეჟავას საბოლოო სიტყვების შემდეგ ყრილობა ღებულობს რეზოლიუციას, რომელშიაც საკონტროლო კომისიის მიერ წარმოებულ მუშაობას პარტორგანიზაციების განმტკიცებისა და გაჯანსაღების საქმეში ყრილობა სცნობს დამაკმაყოფილებლად.

## შეისწავლე სამხედრო საქმე

### რა უნდა ისწავლონ ახალგაზრდა მსროლელებმა ზამთრის პერიოდში.

1 დეკემბრიდან იწყება ზამთრის პერიოდის რეგულიარული მეცადინეობა ახალწვეულთა შორის.

სამხედრო საქმის შესწავლა მოითხოვს გულმოდგინეობას, ხოლო რაც თავიდათავია, ძლიერ მონდომებასა და სურვილს კარგად გაიგო და შეითვისო სამხედრო მეცნიერება. ყველაფერი ეს გვეუბნება იმას, რომ თვითეული წითელარმიელი უნდა სწავლობდეს სამხედრო საქმეს არა შიშის ქვეშ, არამედ შეგნებულად. და აი, რომ შეუდგეს მეცადინეობას როგორც წესი და რიგია, პატიოსან და შეგნებულ წითელარმიელმა საჭიროა იცოდეს თუ რა ამოცანებს ისახავს ეს ზამთრის პერიოდი. ე. ი. რა ცოდნა უნდა შეიძინოს ახალგაზრდა წითელარმიელმა ზამთრის განმავლობაში?

ზამთრის პერიოდი იყოფა ორ საფეხურად: **პირველი საფეხური** უდრის 1 ნახ. თვეს (1 ლ დეკემბრიდან 15 იანვრამდი). ეს არის მეომრის საერთო განათლების სკოლა. ახალგაზრდა წითელარმიელები ღებულობენ საერთო ცნობებს, თუ რა არის წითელი არმია, რატომ გამოიწვიეს ის არმიაში, როგორია მისი მოვალეობა და უფლებები, რა არის დისციპლინა და საერთოდ ეცნობა ნაწილის შინაურ წესრიგსა და საგარნიზონო სამსახურს. ამასთან ის სწავლობს თავის იარაღის აგებულობას (შაშხანის, ტყვიამფრქვევის, გრანატის), მის თვისებებსა და ხმარებას. ბოლოს ის ღებულობს საჭირო ცნობებს ადგილმდებარეობის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენოს ადგილმდებარეობა ბრძოლაში და სხვა.

ესე იგი პირველი საფეხურის მიზანია მისცეს მეომარს აუცილებელი დაწყებითი ცნობები სამხედრო საქმის შესახებ.

**მეორე საფეხური**—3 ნახ. თვე (15 იანვრიდან 1-ლ მაისამდი)—ესაა სპეციალისტ მეომრის სკოლა. ამ პერიოდში წითელ არმიელი სწავლობს ყველა სპეციალობას, რაც კი არსებობს ათეულში. ის უნდა გახდეს კარგი მსროლელი, კარგი მეტყვიამფრქვევე, მოთვალთვალე და კავშირის საქმის მცოდნე. უნდა შეეძლოს მთელი თავისი ცოდნის გამოყენება ყოველთვის საბრძოლო გარემოებაში, ე. ი. ის უნდა იყოს კარგი სპეციალისტი—მეომარი, რომელსაც საჭიროების დროს შეეძლება გასწიოს თვითეული ამხანაგის მაგივრობა. ამ პერიოდში წითელ არმიელი ეცნობა სასანგრე, სამხედრო—ქიმიურ საქმესა და ავიაციას. ის გადის საველე მომზადებას და ეცნობა საბრძოლო გარემოების მუშაობის ყველა სახეს.

ამრიგად ზამთრის პერიოდის ამოცანაა მოამზადოს ცალკეული მეომარი სპეციალისტი, რომელსაც შეეძლება გასწიოს თავისი ათეულის ამხანაგის მაგივრობა, ე. ი. ისეთი, რომელსაც ეცოდინება თავისი ათეულის ყველა სპეციალობა და შეეძლება მათი გამოყენება ბრძოლაში.

პ.

## მოუფრთხილდი სახალხო ქონებას.

### როგორ უნდა მოუარო ცხენის მოკაზმულობას.

სამნეო განყოფილების, ე. ი. საბარგულეებზე მოსამსახურე წითელ არმიელებს, სანამ მუშაობას შეუდგებოდენ, კარგად უნდა ესმოდეთ თავიანთი მოვალეობანი. ეს მოვალეობა მდგომარეობს იმაში, რომ ყველაფერი ის, რაც მათ აბარია უვნებლად უნდა დაიცვან.

მაგ. შენ დანიშნული ხარ მებარგულედ. გაბარია, ცხენი, საბარგულე და მისი მოწყობილობა. ყველაფერი ეს სახალხო ქონებაა და კარგად უნდა იქნას დაცული.

მაგრამ რომ დაიცო გაფუჭებისაგან ჩაბარებული ქონება, უნდა იცოდე როგორ მოექცე ამა თუ იმ ნივთს. წინააღმდეგ შემთხვევაში შენ გააფუჭებ რაიმე საგანს და გააფუჭებ მხოლოდ უცოდინარობით.

შენ გაბარია ცხენის მოკაზმულობა. რომ ის გაფუჭებისაგან დაიცვა, ხშირად უნდა მოსწმინდო მას მტვერი, გასწმინდო ოფლის, ტალახისა და ჟანგისაგან და თავის დროზე დაზეთო.

ცხენის შებმის დროს ყურადღება უნდა მიაქციო, რათა ერთი ნივთი მეორეს არ ეხახუნებოდეს გაფუჭდა, გაწყდა ან გაიბზარა რაიმე ნივთი, მაშინვე შეაკეთე ის. თუ შენ არ შეგიძლია—მიიტანე სახელოსნოში.

ცხენები რომ გამოხსნა, ნუ დასტოვებ მოკაზმულობას მიყრილ-მოყრილს, შეჰკრიბე და დაჰკიდე წვიმისგან მყუდრო ადგილზე. დაათვალიერე ის განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ღვედები ერთმანეთს უერთდებიან აბზინდებისა და სხვა რკინის ნაწილებით. ხომ არაა სადმე დამწვარი ან გაწყვეტილი ღვედი, ცუდად გაკეთებული მოკაზმულობისა და ცხენის ამუნიციის ნაწილები, ხომ არ დაკარგულა რაიმე და სხვა

ხმარების შემდეგ კარგად გასწმინდე ოფლისაგან საყელური და საოფლეები გაამშრალე კარგ ამინდში გაამზევე, კეხი გადმოაბრუნე მზისკენ ქეჩით, ხოლო შემდეგ დაბერტყე ჯოხით, რათა არ ჩარჩეს მტვერი ან გამხმარი ადგილები.

მოკაზმულობა, რომლითაც მორთული იყო გადამდებ ავადმყოფობით დაავადებული ცხენი, დასწვი უფროსის ნებართვით.

თუ რაიმე მიზეზების გამო ეს არ შეიძლება დაასველე ის და 2 საათის განმავლობაში გეჭიროს სულემის ხსნილში, ხოლო შემდეგ გარეცხე სუფთა წყლით. როცა გაშრეს დაზეთე.

აი მოკლედ ის, რაც უნდა აასრულოს ზემოაღნიშნული დარგის წითელ-არმიელმა.

ი. ბ.

# წითელი ყაზარმა ამუშავდა.

## ჩვენც დავაარსეთ ახალი წრე.

1-ლი ლეგ. 2-რე ათასეული.

2 დეკემბერს შესდგა მეორე ათასეულის უმცროს მეთაურთა კრება, რომელსაც დაესწრო 30-მდე ამხანაგები. მოხსენება გაკეთებულ იქნა თანამედროვე ტეხნიკის მიღწევების შესახებ, და ხაზი გაუსვა ამხ. მომხსენებელმა იმ გარემოებას, რომ ყველა უმცროს მეთაურებმა უნდა შეისწავლონ მომავალი ბრძოლისათვის გამოსადეგარი საბრძოლო წესები, როგორიცაა ტაქტიკა და სასროლო საქმე. მოხსენება იმდენად საინტერესო იყო, რომ აქვე გადავსწყვიტეთ დაარსებული იქნეს უმცროს მეთაურებისაგან ტაქტიკისა და სროლის შემსწავლელი წრე, რომლის მეცადინეობა იწარმოებს კვირაში ორჯერ. წრის ხელმძღვანელად არჩეული იქნა ამხ. შოთაძე, რომელიც იმედია შესაფერ ნიადაგზე დააყენებს წრის მეცადინეობას.

სამხკორი ივ. ბარელაძე.

## მოვეწყვეთ და მუშაობასაც შევუდექით.

2-ე საკავშირო ასეული.

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი ასეული დიდი ხანი არაა, რაც ახალ ბინაზე გადმოვიდა მან მაინც შესძლო შესაფერად მოწყობილიყო.

ახალწვეული წით. არმიელებიც უკვე გულმოდგინეთ ჩაებენ საერთო მუშაობაში. ჩამოყალიბდა სხვა და სხვა წრეები და შეუდგენ მუშაობას.

დრამატიულმა წრემაც შესძლო 1-ლი ნაბიჯის გადადგმა. 2 დეკემბერს საკავშირო და მესანგრე ასეულების შეერთებული ძალით დაიდგა პიესა: „ძველი და ახალი ყაზარმა", რომელმაც როგორც ქართველ, ისე რუს წითელ არმიელებზედაც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

ვუსურვებთ ახლათ ჩამოყალიბებულ დრამწრეს ნაყოფიერ მუშაობას.

სამხკორი ვ. გორათელი.

## მხატვრული საღამო-წარმოდგენა

(მეთაურთა სკოლა)

ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში სკოლის კომ-კავშირმა პირველ ასეულის ძალებით გამართა საღამო-წარმოდგენა.

მეტად საყურადღებო იყო სხდომა, რომელზედაც განხილული იქნა სამოქალაქო ორგანიზაციებისა და სკოლის კომკავშირის მუშაობის შედეგები. მოხსენებებში აღნიშნეს სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციების კავშირის მეტად საყურადღებო მიღწევები. მუშაობის მთავარი მომენტები მარქსისტული აღზრდელობისა და ახალი ყოფა-ცხოვრების განმტკიცების საქმეს მონდომია. ასეთივე ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეული მუშაობის აღრიცხვას და პარტიული მასის საშვალებით უპარტიო მასის გააქტივებას!

სხდომის შემდეგ დაიდგა მორელის ორ მოქმედებიანი პიესა „წითელი მეზღვაური".

პიესა მწყობრად ჩატარდა. საყურადღებო იყო სცენის უჩვეულო მოწყობა, რომელიც ამ პიესისათვის დამზადებულ დეკორაციაში გამოიხატა.

პირველი მოქმედება—„კაიუტაში" ნათლად ახდენდა—შთაბეჭდილებას, რომ ეს გემზე ხდებოდა: ჩამოდიან ვიწრო კიბეებზე, რომლის ირგვლივ „საზღვაო პრობკები"... სცენის გარსი დაჯავშნულ გემის კედელს წააგავს.

მეორე მოქმედება კიდევ უფრო მხატვრული გამოდგა: თვით გემი—ილქნითა და მძიმე ზარბაზნებით, ახლად დახატული ზღვა და სხვა მოწყობილობა მაყურებლებზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა.

ლამაზი იყო გემზე მომხდარი გადატრიალების დროს კანაფით წვრილი წითელი დროშების ამართვა და თეთრგვარდიელთა დროშის ჩამოშვება. მასიური სცენებიც ლამაზი გამოდგა. ეს საღამო-წარმოდგენა იმედს იძლევა, რომ კურსანტები მომავალში კიდევ უფრო მხატვრულად განაგრძობენ საკლუბო-მასიური მუშაობის წარმოებას.

შოთა

## წვევამდელთა შორის მომუშავე პოლიტ-ხელთა გადასამზადებელი სემინარი.

4-ე ლეგიონი.

ლეგიონში თანახმად პოლიტგანყოფილებიდან მოსულ ცირკულიარისა გამოწვეული იქმნენ წერტებიდან ადგილობრივად მცხოვრები ამხანაგები. სემინარში მეცადინეობა დაიწყო 23 ნოემბერს. მეცადინეობას ხელმძღვანელობდა დივიზიის სასკოლო ინსტრუქტორი ამხ. კალანდაძე, რომელიც სისტემატიურათ ატარებდა მას.

ჩატარებულ იქმნა სანიმუშო პოლიტ-საათი, რომელმაც სასურველი შედეგები მოგვცა. ზოგიერთ წერტების ამხანაგებმა დააგვიანეს. ამ უკანასკნელებს გაუგრძელდებათ მეცადინეობა 2 დღით.

მსმენელების საერთო რიცხვი აღის 18 კაცამდე. შეთვისება ზოგიერთის გამონაკლისით საშუალოა.

ასეთი სემინარი დიდ შედეგებს მოგვცემს და ის შეცდომები, რომლებიც იყო დაშვებული შარშან, გამოსწორებული იქნება.

სამხკორი სან—მანი.

## ჩვენი მომავალი პოლიტ-მომუშავენი.

სამხედრო პოლიტსკოლა

მალე შესრულდება ორი წელი რაც ჩაეყარა საძირკველი ქართულ სამხედრო პოლიტსკოლას. დიდი გაჭირვება განიცადა ამ ხნის განმავლობაში სკოლამ უსადგურობის გამო. სკოლის მესვეურებმა არ დაზოგეს ძალა და ღონე, რომ დაეყენებიათ ის შესაფერ სიმაღლეზე და მიაღწიეს კიდეც თავის მიზანს დღეს-დღეობით სკოლის მდგომარეობა შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

მშვენიერი სანახავია სკოლა. კურსანტების საცხოვრებელი ბინები ლამაზად და სუფთად არის მოწყობილი, „ტაპჩანები"-ს მაგივრად კურსანტებს აქვთ რკინის საწოლები და თვითეულს პატარა შკაფი ნივთების შესანახად. სასადილო კარგათ არის მოწყობილი; კოვზები, დანა-ჩანგალი, საინები საკმარისია.

სამეცადინო ოთახები ახალი შეკეთებულია, არის შიგ დაფები და ეგრედ წოდებული პარტები. კარგი იქნება, რომ პარტები-ს მაგივრად შემოღებულ იქნას უფრო ჰიგიენური პატარა მაგიდები.

სასკოლო მეცადინეობა ჩამდგარია ნორმალურ კალაპოტში. ლექტორთა რიცხვი საკმარისია. კურსანტები შეძლება ითქვას დაგვარათ დაკმაყოფილებულნი არიან საჭირო სახელმძღვანელოებით. თვით კურსანტები გულმოდგინეთ ეკიდებიან მეცადინეობას. მათ სავსებით გათვალისწინებული აქვთ ის დიდი საქმე, რომლისთვისაც ემზადებიან და იძენენ ცოდნას.

სკოლის გარეშე განათლების (საკლუბო და საბიბლიოთეკო) საქმე გაცხოველებულია. ბიბლიოთეკა ღარიბია ქართული წიგნებით, მათზე მოთხოვნილება კი ძალიან დიდია. საჭიროა ცენტრალური ბიბლიოთეკის მიშველება კოლექტიურ აბონემენტის გზით. კლუბში ჩამოყალიბდნენ და შეუდგნენ მეცადინეობას წრეები, რომლებშიაც ჩაბმულნი არიან როგორც კურსანტები, ისე მეთაურთა და ლექტორთა შემადგენლობა.

წრეების ხელმძღვანელებათ დაქირავებული არიან მცოდნე პირები. თვით კლუბის დარბაზის მოსაწყობად სწარმოებს დიდი მუშაობა. კეთდება დეკორაციები, შირმები. კლუბის საზეიმო გახსნა დანიშნულია 19 დეკემბრისთვის.

კარგათ არის დაყენებული აგრეთვე სამწყობრო მეცადინეობა. სკოლის დაეთმო ახლო მდებარე მოედანი, სადაც სწარმოებს სამწყობრო მეცადინეობა და ვარჯიშობა. ამ დარგშიაც დიდ ხალისს იჩენენ კურსანტები.

საერთოდ შეიძლება თამამად ითქვას, რომ სკოლა მისცემს ქართულ დივიზიებს სრულიად მომზადებულ და შეგნებულ სამხედრო და პოლიტიკურ მუშაკებს.

ი—ა.

## ყურადღება უნდა მიექცეს.

მეთაურთა სკოლა.

სკოლის შესავალში (ეზოში) ყოველ შემოდგომაზე, ზამთარში და გაზაფხულზე გროვდება წყალი. ეს დაგუბებული წყალი ერთის მხრივ ეზოს ატალახებს, გავლენას ახდენს ჰაერის სისაღეზე და ჟონავს სასადილოს კედლებში.

დანოტიავებული კედლები ზიანდება და რა თქმა უნდა მავნებელიც არის.

სკოლის სამნეო გუნდის წინ დაზიანებულია ხევი, რომელიც შარა გზასაც აზიანებს. თუ აქ კედლის აგება არ დაჩქარდა შემდეგ უფრო ძნელი იქნება შეკეთება.

ყოველივე ამას დაუყონებლივ ყურადღება უნდა მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

ევტიხი.

## ცვალებადელთა შორის მუშაობა.

## წვევამდე მზადების წერტზე.

მესამე ლეგ. გამწვევი პუნქტი.

2 დეკემბერს აღნიშნული ლეგიონის გამწვევ პუნქტზე მოხდა წვევამდე სამხედრო მომზადებისათვის გაწვეულ 1904 წ. დაბადებულ ახალგაზრდობის ახკომკავშირელთა და პარტიის წევრთა გაერთიანებული კრება. კრებაზე აირჩიეს ახკომკავშირის ბიურო, რომელსაც მიენდო წვევამდელთა შორის აქტიური მუშაობის წარმოება სამხედრო, პოლიტიკურ და კულტურულ დარგებში. ბიუროს დაევალა აგრეთვე წვევამდელ უპარტიო ამხანაგებში მუშაობა, მათი ჩაბმა აქტიურ საქმიანობაში და სხვა.

ამავე დღეს მოეწყო წვევამდელთა საერთო კრება, რომელზედაც წვევამდელის მიზანსა და დანიშნულების შესახებ დაწვრილებით ილაპარაკა ამხ. თავაძემ. კრებაზედვე არჩეული იქნა ლენინის კუთხის გამგეობა და კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია.

ახალგაზრდობის მუშაობაში ჩასაბმელად ამნაირად ყოველგვარი ზომებია მიღებული.

სამხკორი გ. კ—შვილი.

## ვინ იქნება შემდეგი?

4-ე ტერ-ლეგიონის მეხუთე ასეულმა შესძლო ჯერ-ჯერობით თავის წერტზე 43 ცალი გაზ. „წითელ არმიელის" გავრცელება.

ვიწვევთ ქვემო ჩამოთვლილ ასეულებს რათა მათაც გაავრცელონ ჩვენი ინტერესების გამომხატველი გაზ. „წითელ არმიელი" თავიანთ წერტებზე.

4-ე ლეგიონიდან 3, 4 და 7 ასეულებს.
5-ე ლეგიონიდან:—5-ე და 6-ე ასეულებს.
1-ლი ლეგიონიდან—5-ე ასეულს;
2-ე ლეგიონიდან—5-ე ასეულს;
3-ე ლეგიონიდან—5-ე ასეულს;
და 6-ე ლეგიონიდან—5-ე ასეულს;

იმედია ასეულები გამოეხმაურებიან ჩვენს გამოწვევას და მით ხელს შეუწყობთ ჩვენი გაზეთის გავრცელების საქმეს.

ასეულის მეთაური ძიძიგური
პოლიტხელი გუბელაძე.

## ცვალებადელებმა გამოიწერეს „წითელ არმიელი"

6-სე ლეგ. 3-მე ათასეული.

ჩვენი ათასეული წინასწარ ამზადებდა გეგმებს იმისათვის, რომ შესაფერი მუშაობა გვეწარმოებია შვებულებაში წასულ ცვალებადელთა შორის და არ გაწყვეტილიყო მათთან ცოცხალი კავშირი. ამ შრომას არ ჩაუვლია უნაყოფოდ.

ეს გამოაშკარავდა მაშინ, როდესაც ვსინჯეთ შეგვემოწმებია ჩვენი მუშაობა. ჩვენი გამოძახილზე ცვალებადთა შემადგენლობამ მყისვე მოიყარეს თავი. 29 ნოემბერს ამის გამო მოწვეულ იქნა სამ ადგილს, თელავში, წინანდალში და შაშიანში, ცვალებადთა კონფერენციები. ყველგან დასმული იყო ერთი და იგივე საკითხები: 1) ტერადმშენებლობა, 2) გაზ. „წითელ არმიელის" გავრცელების შესახებ სოფლად და 3) სხვა მიმდინარე საკითხები.

ტერადმშენებლობაზე მოხსენების გაკეთების შემდეგ, შემოდიოდა აუარება შეკითხვები, რომლებსაც ეძლეოდა სათანადო ახსნა განმარტება.

გაზ. „წითელ არმიელის" გავრცელების შესახებ კონფერენციებზე გაკეთებული იქნა ვრცელი მოხსენება. ჩვენი ცვალებადელები ყურადღებით მოეკიდენ ამ საქმეს და ერთხმად გამოსთქვეს სურვილი ყველამ გამოიწერონ და ამას გარდა გასწიონ აგიტაცია მთელს მოსახლეობაში მისი გავრცელების შესახებ. ყველა სოფლებში გამოყოფილი იქნა თითო ამხანაგი, რომლებსაც დაევალათ რაც შეიძლება დაჩქარებით მოაგვარონ ეს საქმე.

ამნაირად ყოველგვარ ზომებს ვხმარობთ, რომ გაზეთი გავავრცელოთ სოფლის მოსახლეობის შორისაც.

სამხკორი დ. ჭანკვეტაძე.

## პარტიული ცხოვრება

ცხენ. ლეგ. 1-ლი. ესკადრონი.

ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში ლეგიონ ს1-ლ ესკადრონში შესდგა კომუჯრედის ღია კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და ბოლოს გარჩეული იქნა საკითხები ნაწილში კედლის გაზეთის გამოშვებისა და რემედასის უჯრედის დაარსების შესახებ. მოხსენება, რომელიც გააკეთა ამხ. [illegible] საკმაოდ შინაარსიანი იყო და შესაფერი წარმოდგენაც მოგვცა.

ამხანაგი დაწვრილებით შეეხო განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის ეკონომიურად მოღონიერებას და მიღწევებს.

შემდეგ აღნიშნული იქნა კედლის გაზეთის გამოშვების აუცილებლობა. კრებამ აირჩია სამი ამხანაგი რედკოლეგიაში

შემოვიდა განცხადება რემედასის უჯრედის დაარსების შესახებ, რასაც კრება სიხარულით შეეგება. არჩეული იქნენ ამხანაგები, რომლებსაც მიენდო ამ საქმის მოგვარება.

სამხკორი პ. კახიძე.

## ახკომკავშირელთა შორის.

მე-6- ლეგიონის მე-3- ათასეული.

24 ნოემბერს შესდგა ათასეულის ა. ლ. კ. კავშირის ღია კრება, რომელსაც დაესწრო როგორც ათასეულის მეთაურთა შემადგენლობა და წით-არმიელები, აგრეთვე სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენლიც. კრებამ მოისმინა მოხსენება ახკომკავშირის ამოცანების შესახებ სოფლად. მოხსენება გააკეთა ამხ. ვარდოსანიძემ, რომელმაც აღნიშნა თუ რატომ არის საჭირო, რომ დაუკავშიროთ ახკომკავშირი მშრომელ გლეხობას. შემდეგ აღნიშნავს თუ რას ავალებს სოფელი კომკავშირელს. კომ-კავშირი უსათუოთ ახლოს უნდა იდგეს საბჭოთა აღმშენებლობასთან და უნდა ცდილობდეს ჩაითრიოს გლეხობა სოფლის აღმშენებლობაშიო.

უკანასკნელად ხაზი გაუსვა იმას, რომ მთელი ჩვენი ენერგია მიმართული უნდა იქნეს სოფლის აქტივის გაფართოებისაკენ და პროლეტარულ დემოკრატიის განმტკიცებისაკენ

მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რომელზედაც შესაფერი პასუხი გასცა მომხსენებელმა. მიმდინარე კითხვებში არასფერი აღმოჩნდა.

სამხკორი გ. სვანიძე.

## უცხო სიტყვების ახსნა.

ერიოდი—განსაზღვრული ხანა.

ეგულიარული—წესრიგზე დაყენებული, სწორი.

ოსული—ოსმალეთის რესპუბლიკის ოლქი, რომელიც მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დაიკავა ინგლისმა. მოსულში მოიპოვება დიდძალი ბუნებრივი სიმდიდრე.

არანტია—უზრუნველყოფა, თავდებობა.

იბერალური პარტია—ბურჟუაზიული პარტია, თავისუფლების მომხრე ბურჟუაზიულ წესწყობილების ფარგლებში.

პეციალისტი—რაიმე განსაკუთრებული დარგის ზედმიწევნით ცოდნა, ხელობა.

---

რ უნდა დარჩეს არც ერთი წითელი არმიელი, რომ ავისი გაზეთი „წითელი არმიელი“ არ ქონდეს გამოწერილი.

---

## ოსპეთ ნაკლულევანებანი

### გაგვითბეთ საყარაულო ოთახი.

პირველ ლეგიონის საწყობთან არის საყარაულო ოთახი, ომელსაც არ ათბობენ. ყარაულიდან გამოცვლილი არმიელები ოთახში ვერ თბებიან და ძლიერ სწუხან. შემდეგ ასეთივე მდგომარეობაში უხდებათ საგუშაგოზე გასვლა. გაგვითბეთ საყარაულო ოთახი.

წ. არმ. კობე

### მოგვეცით განათება.

1-ლი არტლეგიონი.

კარგა ხანია მას შემდეგ, რაც ლეგიონის კლუბში და მკითხველოში არა გვაქვს ელექტრო განათება, რითაც ხე- გვეშლება წრეებისა და სხვა მეცადინეობაში. ამის გამო ეები მუშაობენ ბატარეიებში, რაც თავის მხრივ ხელს უშს ლენკუთხეების მუშაობას. საჭიროა ყურადღება მიექცეს გარემოებას და მოგვცემდენ განათებას.

სამხკორი ა. არველაძე

### ყურადღებაა საჭირო.

ქალაქის კომენდატის საყურადღებოდ.

მეშვიდე საყარაულო შენობას ბევრი რამ აკლია. არის პურის შესანახი კარადა (შკაფი), ტანისამოსის ჩამოსაკიდებელი, ქონების ინვენტარის სია და სხვა რაც უხერხულ დგომარეობაში აყენებს ყარაულს. დროა მოგვარდეს ეს ნაკლულევანებანიც.

წ. არმ. ი. სოფრომაძე.

---

## უცხოეთის არმიებში

**ჯარისკაცების „კანონიერი“ გაროზგვა.**

როდესაც უნგრეთში დამარცხდა საბჭოთა ხელისუფლება, ეიდრების მთავრობამ შემოიღო სასჯელად გაროზგვა. შემდეგ სასჯელის ასეთი სახე გააქმეს, მაგრამ ამ უკანასკნელად ვე შემოიღეს.

ახალი კანონის ძალით სამხდრო სასამართლოებს ნება ძლევათ სიკვდილით დასჯა ეცვალონ ჯარისკაცს გაროზგვით. როზგის დარტყმის იცხვი, რომელიც უნდა გავცელდეს ასეთ ბრალდებულ ჯარისკაცზე აღწევს 50 60-მდე.

**რანგ გენერლების გეგმები.**

საფრანგეთის არმია ამჟამად აეა მოწყობილი, თითქმის ისეივე წესებია მასში, როგორც იმპერიალისტური ომის დაწყებამდე.

ერთად ერთი ახალი ცვლილება არმიაში არის სამხედრო სამსახურის ვადის შემცირება 8 თვემდე.

ამჟამად ფრანგი გენერლები ლაპარაკდენ ტერიტორიალურ არმიისა და მოსახლეობის გასამხედროების შემოღების შესახებ. მათ კარგად იციან, რომ მომავალი ომის დროს საჭირო იქნება მთელი ქვეყნის შეიარაღება, მაგრამ ამევე დროს შიში ებარებათ, რომ მშრომელი ხალხის შეიარაღება და სამხედრო ხელოვნებაში გაწვრთნა საშედისწერო არ იქნეს მთავრობისა და მდიდარ-კაპიტალისტებისათვის. ამიტომ გენერლები აყენებენ ამჟამად ასეთ გეგმას: საჭიროა კადრის არმიის გარდა ტერიტორიალური ნაწილის ყოლაც, მაგრამ ყველა ამის სისრულეში მოყვანა შესაძლებელია არა უცებ, არამედ 10 წლის განმავლობაში. ამ ათი წლის განმავლობაში კი შესაძლებელი იქნება აგრეთვე საიმედო ჟანდარმერიის (პოლიციის) კადრების შექმნაც.

ამნაირად გენერლები ქმნიან რა შეიარაღებულ ტერიტორიალურ ძალას, ფიქრობენ მის საწინააღმდეგოთ სხვა ძალის—პოლიციის შექმნას, რათა შესაძლებელი იქნეს პირველის დაძლევა აჯანყების შემთხვევებში.

საქვოა გააკეთებენ თუ არა ეს გენერლები რამეს ასეთი გასამხედროებით.

**დეზერტირობა პოლონეთის არმიაში.**

პოლონეთის გაზეთები იტყობინებიან, რომ ამ უკანასკნელ ხანებში პოლონეთის არმიაში ძლიერ გავრცელდა დეზერტირობა, განსაკუთრებით 1903 წლის გამოწვევაში.

სოფ. დულეიტთან ერთი დღის განმავლობაში სანაპირო რაზმებმა დააკავეს ბელორუს ახალწვეულების მთელი ჯგუფი—60 კაცი, რომლებიც სცდილობდენ საბჭოთა ტერიტორიაზე გადმოსვლას.

**პოლონეთში შემოღებულ იქნა სამხედრო საპყრობილეები.**

პოლონეთის სამხედრო სამინისტრომ დაამტკიცა ახალი წესდება სამხედრო საპყრობილეებისათვის. წესდების ძალით თითეულ კორპუსთან, სადაც კი არსებობს სამხედრო ტრიბუნალი არსდება სამხედრო საპყრობილეებიც დატუსაღებულთათვის, რომლებიც დასჯილი არიან დისციპლინალური წესით.

---

## ამბები სოფლებიდან.

ბორჩალოს აღმასკომმა დააკმაყოფილა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის „გაერთიანება“-ს შუამდგომლობა სადგ. სანდარაში დანგრეულ შენობათა გადაცემის შესახებ, ახალი შენობების ასაგებათ.

**წესრიგის დასაცავათ.** თელავის აღმასკომმა დაადგინა დამე ქალაქში წესიერების დაცვის მიზნით გაადიდოს მეეზოვეთა რიცხვი.

**მიწის დამუშავება.** სენაკის სამაზრო გლეხკომის მეთაურობით ზოგიერთ თემებში მოეწყო საფონდო მიწების კოლექტიურათ დამუშავება გლეხების მიერ.

**ფიზკულტურა სოფლად.** ბორჩალოს აღმასკომმა სამაზრო ფიზკულტურის საბჭოს გადასცა ხე-ტყის მასალა სასპორტო მოედნის მოსაწყობათ.

**სანიტარია.** თელავის აღმასკომმა გამოიმუშავა განსაკუთრებული წესები ქალაქში და მაზრაში სანიტარული წესების დაცვის შესახებ.

## ახალი ამბები.

— დახმარება უცხოელ რევოლიუციონერებს. საქ. რემედსმა თავის მზრუნველობის ქვეშ აიყვანა საბერძნეთის და შავმთას ციხეებში მყოფი პოლიტიკური პატიმრები.

— რემედსის დღე. საქ. რემედსის ცეკამ დაადგინა ახლო ხანში ჩაატაროს „რემედსის დღე“.

— ავიაქიმის ლატარია. საქ. ავიაქიმის მიერ მოწყობილი ვერცხლის ლატარიის გათამაშება დამთავრდა.

— წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოების ყრილობა გაიხსნება 12 დეკემბერს განათლების მუშ. სახლში.

— **სამხედრო ჟურნალი** დეკემბრის შუა რიცხვებიდან ქუთაისში დაიწყებს გამოსვლას სამხედრო-პოლიტიკური ჟურნალი. ჟურნალს გამოსცემს 1 ქართ. დივიზიის პოლიტგანყოფილება.

— პოლიტხელმძღვანელებ. მე-4 ლეგიონთან არსებული მწვევამდელთა პოლიტხელების გადასამზადებელი კურსები დაამთავრა 13 მსმენელმა.

— **სიმინდის მოსავალი.** სტატისტიკური ცნობებით მთელ საქართველოში წელს მოსულა 23 მილიონი ფუთი სიმინდი.

— **საქართველოს რემედსში** ამჟამად ითვლება 78.809 წევრი.

— რადიო სადგური უნივერსიტეტში. ამ დღეებში სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყობა რადიო მიმღები სადგური.

— ჩაის გადამმუშავებელმა მოსკოვის საზ-ბა „ცეილონმა“ გადასწყვიტა საქართველოში შეიძინოს 600 ფუთი ჩაი.

— წამლეულობის შეძენა. საქ. სახელმწიფო მედიკამენტებით ვაჭრობის სამმართველომ საზღვარგარეთ შეიძინა 100 ათასი მანეთის წამლეულობა.

---

## პასუხი შეკითხვებზე.

ზ—ცს. ნაწილიდან ნაწილში გადასვლა აკრძალულია. ასეულიდან ასეულში გადასვლა შეიძლება ლეგთავის ნებართვით.

ი—ნს. ზედმეტ მსახურ უმცროს მეთაურს მამის საოჯახო ულუფა ეკუთვნის, თუ ის 60 წლისაა და იმყოფება მის რჩენაზე.

მა—ძეს. მოკლე ვადიან შვებულებაში წასვლა შეგიძლიათ მხოლოდ განსაკუთრებული საპატიო მიზეზების გამო, რის სათანადო საბუთები უნდა წარუდგინო ნაწილს.

გურ—ძეს. ზედმეტ მსახურ მეთაურების უვადო შვებულებაში წასვლა შეწყვეტილია 1 ნოემბრიდან. (კ. წ. დ. ა. ბრძანება № 409).

გადამწერ ჩ—ვას. თქვენ ჯამაგირს უნდა ღებულობდეთ შტატით გათვალისწინებულ თანამდებობის მიხედვით. თუ რატომ არ ღებულობთ, ამის შესახებ მიმართეთ თქვენს უფროსს.

## რებუსი № 20



---

## მეცნიერება და ტეხნიკა

**ქსელი ჰაეროპლანებისათვის.**

იაპონიის სამხედრო სამინისტრომ ამ უკანასკნელ ხანებში მოახდინა მთელი რიგი ცდები ინჟინერ ტაკაგას გამოგონებაზე, რომელიც გამოიხატება მოწინააღმდეგის ჰაეროპლანების დაჭერისათვის ქსელების—ბადეების დაგებაში. ბადეები მზადდება თხელი ფოლადის მავთულებისაგან, იკეცება, მიმაგრებულია პარაშიუტზე და უშვებენ ჰაერში ერთგვარი ჭურვების საშვალებით, რომლებიც განსაზღვრულ სიმაღლეზე ასვლის შემდეგ იშლებიან. ფოლადის მავთულისაგან დამზადებული ბადე უეცრივ იშლება და ეხვევა ჰაეროპლანს, განსაკუთრებით მის პროპელერს. პირველმა ცდებმა დაამტკიცეს, რომ საჰაერო ბადეები ძლიერ გამოსადეგი იქნება საჰაერო ბრძოლისთვის.

**ხელოვნური შაქარი.**

რადგან ძლიერ ადვილი შეიქნა შაქრის დამზადება მარცვლის კრახმალისაგან, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მიწად-მოქმედების სამინისტრო ამ ჟამად არჩევს საკითხს თუ რამდენად ხელსაყრელი იქნება მცხოვრებლებისათვის ასეთი ხელოვნური შაქრის მიწოდება.

მთელი წლის განმავლობაში ამერიკას უნდება 5.000.000 ტონა (1 ტონა უდრის 61 ფუთს) შაქარი. ამ რიცხვიდან ნახევარი შეაქვთ სხვა სახელმწიფოებიდან. ქიმიური მრეწველობის ბიურო ამტკიცებს, რომ შესაძლებელია თავიდან ავიცდინოთ სხვა სახელმწიფოებიდან შაქრის შემოტანა, თუ დავამუშავებთ ხორბლეულობის კრახმლიდან შაქარსო.

ამერიკის პურის ჭირნახულის ერთი წლის მარაგი, რომ გადამუშავდეს შაქრად, მიიღებენ იმდენ შაქარს, რამდენიც ესაჭიროება ამერიკას მთელი ათი წლის განმავლობაშიო.

---

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართულ სამხედრო პოლიტ-სკოლის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები ა. ლ. კ. კავშირის წევრობიდან კ. პ. კანდიდატად გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს 1) კაკაბაძე გიორგი ესტატეს ძეს, 2) დიასამიძე სულეიმან ისმაილის ძეს და 3) უპარტიო ზაცივაძე გიორგი ლუარსაბის ძეს. გთხოვთ თუ ვინმეს გაქვთ რაიმე საწინააღმდეგო ზემოაღნიშნული ამხ. ამხ. შესახებ, გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

კომუჯრედის პ. გ. მდ. ხუხუა.

---


## რა ღირს „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელის-მოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის.


---

## განცხადება.

ამაწლის 20 ნოემბერს 1-ლ. ქართ. მსროლელ ლეგიონის ყაზარმებთან ნაპოვნია ფული. პატრონმა მოიკითხოს შემდეგი მისამართით: ავლაბარი 1-ლი ქართ. მსროლელი ლეგიონი მე-3 ასეულის მეთაური.



სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.